

სს „გერმანული ჰოსპიტალი“
2021 წლის ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი

2022

ს ა რ ზ ე ვ ი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სს „გერმანული ჰოსპიტალის“ 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
სს „გერმანული ჰოსპიტალის“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებას 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2022 წლის 30 სექტემბერს:

დირექტორი -----

გოჩა ცინცაძე

ფინ. დირექტორი -----

ვერიკო გუდავა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

სს „გერმანული ჰოსპიტალის“ პარტნიორსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „გერმანული ჰოსპიტალის“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 402101328) (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარება ჩვენმა აუდიტურმა კომპანიამ დაიწყო 2022 წლის აპრილიდან, რის გამოც ჩვენ ვერ მოვახერხეთ საანგარიშგებო პერიოდის (2021 წლის) დასაწყისში და ბოლოს მარაგების ინვენტარიზაციაზე დაკვირვებით ან სხვა ალტერნატიული გზებით, მარაგების რაოდენობებისა და სახეობრივი შემადგენლობის

დადასტურება, რომლებიც კომპანიას აქვს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს (2021 წლის დასაწყისში - 80 784 ლარი, 2021 წლის ბოლოს - 111 710 ლარი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ მარაგთან, ასევე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგების თვითღირებულებასთან დაკავშირებით, რომელმაც პერიოდების მიხედვით შეადგინა: 2021 წელი - 4 430 938 ლარი და 2020 წელი - 2 389 503 ლარი. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ კომპანია სპეციალიზებულ კომპიუტერულ პროგრამაში აღრიცხული მარაგების ჩამოწერა არ ხორციელდება მსს ფასს-ის შესაბამისად.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

სს „გერმანულ ჰოსპიტალს“ შპს „ცინცამე და კომპანიასგან“ 2019 წლის 30 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, შემდგომი შესყიდვის უფლებით 15 (თხუთმეტი) წლის ვადით მფლობელობასა და სარგებლობაში აქვს მიღებული 1300 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე არსებული 4600.9 კვ.მ. შენობა-ნაგებობით. გარიგება წარმოადგენს ფაქტობრივ ფინანსურ იჯარას (ლიზინგს) და ფინანსურ ანგარიშგებაშიც ასახულია შესაბამისად, თუმცა კომპანიას და მეიჯარეს ლიზინგის უფლების წარმოშობის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში არ განუხორციელებია. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...“

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

კომპანია წარმოადგენს ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი ახელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია იმავე საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად

საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის

ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“
საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

30 სექტემბერი, 2022 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1 623 925	60 214	3.1.
სავაჭრო მოთხოვნები	4 723 652	3 612 678	3.2.
მარაგები	111 710	80 784	
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	137 876	88 447	
სხვა მიმდინარე აქტივები	8 781 309	10 353 211	3.3.
მოკლევადიანი აქტივები სულ:	15 378 471	14 195 334	
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	5 853 989	5 110 898	3.4.
გრძელვადიანი აქტივები სულ:	5 853 989	5 110 898	
აქტივები სულ:	21 232 460	19 306 232	
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	1 537 512	1 901 157	3.5.
საგადასახადო ვალდებულებები	253 313	298 448	3.6.
მოკლევადიანი სესხები	1 504 305	1 709 128	3.7.
სხვა მიმდინარე ფინანსური ვალდებულებები	829 661	535 746	3.8.
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	1 315 090	958 198	3.9.
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	5 439 881	5 402 678	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	12 012 766	16 610 048	3.10.
სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3 444 041	3 678 716	3.11.
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	15 456 807	20 288 764	
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	1 000	-	3.12.
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	334 772	(6 385 210)	
კაპიტალი სულ:	335 772	(6 385 210)	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	21 232 460	19 306 232	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- გოჩა ცინცაძე
ფინ. დირექტორი ----- ვერიკო გუდავა

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2021 წელი	2020 წელი	შენიშვნა
ამონაგები	22 291 104	11 419 767	3.13.
რელიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	(11 912 234)	(7 766 292)	3.14.
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	10 378 870	3 653 474	
მიწოდების ხარჯი	(12 035)	(35 394)	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1 621 040)	(1 094 528)	3.15.
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1 170 450)	(778 105)	3.16.
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	7 575 345	1 745 447	
ფინანსური შემოსავალი	-	786 213	
ფინანსური ხარჯი	(2 000 267)	(1 408 675)	3.17.
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	1 680 797	(2 503 631)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	598 359	281 059	3.18.
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(422 434)	(534 220)	3.19.
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	7 431 799	(1 633 807)	
მოგების გადასახადი	(7 582)	-	
წლის წმინდა მოგება	7 424 217	(1 633 807)	
წლის სრული შემოსავალი	7 424 217	(1 633 807)	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- გოჩა ცინცაძე

ფინ. დირექტორი ----- ვერიკო გუდავა

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2019-სთვის	-	(4 751 403)	(4 751 403)
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	(1 633 807)	(1 633 807)
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(6 385 210)	(6 385 210)
ნაშთი 31.12.2020-სთვის	-	(6 385 210)	(6 385 210)
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	7 424 217	7 424 217
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1 039 007	1 039 007
მესაკუთრების შენატანები კაპიტალში	1 000	-	1 000
განაწილებული დივიდენდი	-	(704 234)	(704 234)
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	1 000	(704 234)	(703 234)
ნაშთი 31.12.2021-სთვის	1 000	334 772	335 772

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- გოჩა ცინცაძე

ფინ. დირექტორი ----- ვერიკო გუდავა

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2021 წელი	2020 წელი შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	20 703 515	10 003 647
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(6 961 253)	(3 614 263)
გაცემული შრომის ანაზღაურება საპენსიოს ჩათვლით	(5 541 660)	(4 352 441)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხები	(3 516)	(18 100)
გადახდილი გადასახადები	(1 503 149)	(772 874)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(42 816)	(16 385)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	6 651 122	1 229 585
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(275 519)	(213 362)
სხვა შემოსულობანი /განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	(28 100)	(45 230)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(303 619)	(258 592)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების აღება	314 357	77 922
სესხების დაფარვა	(2 891 638)	(214 004)
გადახდილი პროცენტები	(1 014 917)	(827 147)
ლიზინგის ვალდებულების დაფარვა	(599 378)	(61 801)
გადახდილი დივიდენდები	(571 971)	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(4 763 547)	(1 025 030)
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(20 245)	(4 107)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	1 563 711	(58 144)
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	60 214	118 358
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	1 623 925	60 214

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- გოჩა ცინცაძე

ფინ. დირექტორი ----- ვერიკო გუდავა

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. წინამდებარე 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია სააქციო საზოგადოება „გერმანული ჰოსპიტალის“ (შემდგომში - *კომპანია*) მიერ. სს „გერმანული ჰოსპიტალი“ დარეგისტრებულია 2018 წლის 21 სექტემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 402101328, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, დიდუბის რ-ნი, კოსმონავტების სანაპირო №45ა. დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო ფ.პ. მარინა ჟვანია.

1.3. კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოებია:

- ა) კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო არის საერთო კრება;
- ბ) კომპანიის ყოველდღიური მართვა ხორციელდება მმართველი გუნდის მიერ, რომელიც შედგება დირექტორის, აღმასრულებელი დირექტორის, ფინანსური დირექტორის დასამედიცინო დირექტორისგან.

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის დღეს არის დირექტორი - გოჩა ცინცაძე.

1.4. კომპანიას არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობები:

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მრავალპროფილური სამედიცინო მომსახურება.

1.6. ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, რაც იწვევს ხშირ საკანონმდებლო ცვლილებებს.

1.7. წესდების მიხედვით, სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით, საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. ფინანსური ანგარიშგების „მსს ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების თანხებზე. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.2. გათვალისწინებულია „მსს ფასს“-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.3. გათვალისწინებულია „მსს ფასს“-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის მიერ ფაქტობრივად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის შესაბამისად. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება - პირდაპირი მეთოდით.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს-ის მე-11 განყოფილება - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“, ეხება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაციას, გაზომვას და აღიარებას.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

თავდაპირველი აღიარება

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმომ ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება).

შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორცაა, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი, მაგალითად, დაქირავებული პირისთვის სესხის მიცემა უპროცენტოდ, ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით.

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალდებულო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების დღგ-ის, ექსპორტის საბაჟო გადასახადის, ზოგიერთი აქციზის და სხვა მსგავსი სავალდებულო გადახდების გარეშე.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცილება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის

არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც და იანგარიშდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ ჯგუფს აქვს ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

საექვო მოთხოვნების აღიარება

დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას.

1 წლით ან მეტი ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით, 3 თვემდე ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურების ზარალი აღიარდება - 2%-ის ოდენობით, ხოლო სხვა სავაჭრო მოთხოვნებზე - 10%-დან 70%-მდე, თანხის გადაუხდელობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როცა დაიწყო ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება.

დ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, საბალანსო და ნარჩენ (სალიკვიდაციო) ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	- 2%;
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	- 20%;
კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	- 20%;
ავეჯი და სხვა ინვენტარი	- 20%;
სამედიცინო აპარატურა	- 12.50%
საოფისე აღჭურვილობა	- 20%;
სხვა ძირითადი საშუალებები	- 8-20%.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითიკორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.5. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს. გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება მსს ფასს-ის მიხედვით გამოთვლილ საგადასახადო აქტივსა (ვალდებულებებსა) და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

2017 წლიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის რეფორმა (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის

შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი არის 15%.

2.6. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.7. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი; 1 EUR=4.0233 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
ფული სალაროში	8 051	2 929
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	1 615 874	57 285
	1 623 925	60 214

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
სავაჭრო მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	616 127	312 860
სავაჭრო მოთხოვნები სახელმწიფო დაწესებულებების მიმართ	17 355	17 482
სავაჭრო მოთხოვნები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან	4 381 295	3 397 056
სავაჭრო მოთხოვნები იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ	256 229	207 788
მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების გაუფასურება	(547 355)	(322 508)
	4 723 652	3 612 678

3.3. სხვა მიმდინარე აქტივები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
მოთხოვნები გაცემული სესხებიდან	8 680 407	10 320 121
სხვა აქტივები	100 902	33 090
	8 781 309	10 353 211

3.4. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

	მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	ავტოსატრანსპორტო საშუალებები (GEL)	სამედიცინო აპარატურა (GEL)	კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა (GEL)	საოფისე აღჭურვილობა (GEL)	ავეჯი (GEL)	სხვა ძირითადი სამედიცინო საშუალებები (GEL)	სხვა ძირითადი საშუალებები (GEL)	სხვა (არამატ. აქტ.) (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება										
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 776 037	28 110	1 288 429	65 186	82 785	67 349	127 280	38 475	40 996	5 514 648
დამატება	39 300	-	973 177	23 483	81 073	6 170	28 840	120	2 124	1 154 288
გადაფასება										-
სულ ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 815 337	28 110	2 261 607	88 669	163 858	73 520	156 120	38 595	43 120	6 668 936
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება										
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	86 661	5 059	219 287	16 638	17 758	18 900	29 044	5 862	4 541	403 750
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	49 783	5 622	262 477	15 562	28 834	14 209	27 834	3 415	3 461	411 196
სულ აკუმულირებული ცვეთა და ამორტიზაცია ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	136 444	10 681	481 763	32 200	46 592	33 109	56 878	9 277	8 002	814 946
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 678 893	17 429	1 779 843	56 470	117 266	40 410	99 242	29 318	35 118	5 853 990

	მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	ავტოსატრანსპორტო საშუალებები (GEL)	სამედიცინო აპარატურა (GEL)	კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა (GEL)	საოფისე აღჭურვილობა (GEL)	ავიჯი (GEL)	სხვა ძირითადი სამედიცინო საშუალებები (GEL)	სხვა ძირითადი საშუალებები (GEL)	სხვა (არამატ. აქტ.) (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება										
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 776 037	10 110	1 008 781	46 338	59 125	47 132	65 375	37 700	34 996	5 085 594
დამატება	-	18 000	279 648	18 848	23 660	20 218	61 905	775	6 000	429 054
სულ ისტორიული ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 776 037	28 110	1 288 429	65 186	82 785	67 349	127 280	38 475	40 996	5 514 648
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება										
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	37 141	337	79 873	5 766	4 602	7 315	10 952	2 450	1 458	149 894
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	49 521	4 722	139 414	10 872	13 156	11 586	18 092	3 412	3 083	253 857
სულ აკუმულირებული ცვეთა და ამორტიზაცია ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	86 661	5 059	219 287	16 638	17 758	18 900	29 044	5 862	4 541	403 750
ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 689 375	23 051	1 069 142	48 549	65 027	48 449	98 237	32 613	36 455	5 110 898

კომპანიის კუთვნილ აქტივებზე - მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება წარმოშობილი აქვს სს „თიბისი ლიზინგს“ (ს/კ 205016560), რომლის საგანს წარმოადგენს:

„არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი: კატეგორია: ენდოსკოპიური სისტემა მწარმოებელი: OLYMPUS მოდელი: CV/CVL 180 გამოშვების წელი: 2010 დამატებითი ინფორმაცია: სისტემის შემადგენელი ნაწილები: ვიდეო ენდოსკოპიური სისტემა - Olympus CV/CVL 180 გასტროსკოპი - GIF Q 180 ბრონქოსკოპი - BF 1T20D კოლონოსკოპი - PCF Q 180 AL დუოდენოსკოპი - TJF 145 იდენტიფიკატორი: 81587 არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : კატეგორია: ექოსკოპი მწარმოებელი: Siemens მოდელი: X300PE გამოშვების წელი: 2011 შემადგენელი ნაწილები: გადამწოდები: 1. Convex CH5-2, 2.Linear VF8-3 3. EV9-4 Vaginal, 4.P4-2Cardio note: პროგრამული ენა: ინგლისური; გადამწოდები: 1. Convex CH5-2, 2.Linear VF8-3 3. EV9-4 Vaginal, 4.P4- 2Cardio იდენტიფიკატორი: 81588“.

3.5. სავაჭრო ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
რეზიდენტი კომპანიები	1 512 372	1 885 369
რეზიდენტი ფიზიკური პირები	8 836	11 563
არარეზიდენტი კომპანიები	16 303	4 224
	<u>1 537 512</u>	<u>1 901 157</u>

3.6. საგადასახადო ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
ერთიანი საგადასახადო ბარათი	-	(36 452)
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		
საანგარიშგებო თარიღის შემდგომ	253 313	334 901
ასახული გადასახადები	<u>253 313</u>	<u>298 448</u>

3.7. მოკლევადიანი სესხები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
მოკლევადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (ძირი)	1 378 343	1 543 814
მოკლევადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (პროცენტი)	125 962	165 314
	<u>1 504 305</u>	<u>1 709 128</u>

3.8. სხვა მიმდინარე ფინანსური ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
მოკლევადიანი სალიზინგო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	612 839	29 019
მოკლევადიანი სალიზინგო ვალდებულება იურიდიული პირის მიმართ	216 822	506 727
	<u>829 661</u>	<u>535 746</u>

3.9. სხვა მიმდინარე ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
მიღებული ავანსები	25 283	25 283
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1 048 105	821 979
ანარიცხი	241 703	110 936
	1 315 090	958 198

3.10. გრძელვადიანი სესხები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
გრძელვადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (ძირი)	12 012 766	16 610 048
	12 012 766	16 610 048

3.11. სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	85 229	142 154
გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულება იურიდიული პირის მიმართ	3 358 812	3 536 562
	3 444 041	3 678 716

3.12. სააქციო კაპიტალი:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „გერმანული ჰოსპიტალის“ სააქციო კაპიტალი შედგებოდა 1000 ჩვეულებრივი აქციისგან, ნომინალური ღირებულებით 1 ლარი. 1 ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს 1 ხმის უფლებას აქციონერთა კრებაზე.

3.13. ამონაგები:

	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები სამედიცინო საქმიანობიდან	22 291 104	11 419 767
	<u>22 291 104</u>	<u>11 419 767</u>

3.14. რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება:

	2021 წელი	2020 წელი
პირდაპირი ხელფასი	6 274 038	4 885 127
გახარჯული მასალების თვითღირებულება	4 430 938	2 389 503
პაციენტების კვების ხარჯი	651 383	199 058
სხვა თვითღირებულების ხარჯი	555 874	292 605
	<u>11 912 234</u>	<u>7 766 292</u>

3.15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2021 წელი	2020 წელი
თანამშრომელთა ანაზღაურება	890 510	551 677
საკანცელარიო ხარჯები	48 231	43 078
კომუნიკაციის ხარჯები	18 990	17 093
საკონსულტაციო ხარჯი	27 787	-
საბანკო ხარჯები	24 219	16 522
წარმომადგენლობითი ხარჯები	355	22 630
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	277 028	257 571
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	333 017	177 655
	<u>1 621 040</u>	<u>1 094 528</u>

3.16. სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2021 წელი	2020 წელი
მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	224 847	194 271
საიჯარო ხარჯები	-	7 240
კომუნალური ხარჯები	534 406	322 738
ძირითადი საშუალებების ცვეთა	411 196	253 857
	1 170 450	778 105

3.17. ფინანსური ხარჯი:

	2021 წელი	2020 წელი
მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	996 903	990 061
ლიზინგზე დარიცხული პროცენტი	534 471	418 614
გაცემულ სესხზე დარიცხული დისკონტირების ხარჯი	468 893	-
	2 000 267	1 408 675

3.18. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი:

	2021 წელი	2020 წელი
შელავთი საშემოსავლო გადასახადში პანდემიის გამო	147 164	233 962
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	451 195	47 098
	598 359	281 059

3.19. სხვა არასაოპერაციო ხარჯი:

	2021 წელი	2020 წელი
ხარჯი საყოველთაო ჯანდაცვის და სადაზღვევოს კორექტირებებიდან	220 319	409 304
ანარიცხის ხარჯი	-	94 201
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	202 116	30 715
	422 434	534 220

3.20. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2020-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დაფარვა რეკლამირებით ან გადაკისრებით	დადებითი საკურსო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	ვალდებულების აღება	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2021-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	18 153 862	2 891 638	-	2 185 472	-	314 357	-	13 391 109
სალოზინგო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	171 174	413 878	-	50 945	-	991 716	-	698 067
სალოზინგო ვალდებულება არაფინანსური ინსტიტუტის მიმართ	4 043 289	198 624	-	36 707	-	387 196	-	4 195 154
სულ:	22 368 324	3 504 139	-	2 273 123	-	1 693 270	-	18 284 331

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2020-მდე	გადახდა	დადებითი საკურსო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2021-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	165 314	1 014 917	21 338	996 902	-	125 962
სულ:	165 314	1 014 917	21 338	996 902	-	125 962

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2019-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დაფარვა რეკლამირებით ან გადაკისრებით	დადებითი საკურსო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	ვალდებულების აღება	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2020-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	14 603 225	214 004	-	-	77 922	-	3 686 718	18 153 862
სალოზინგო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	186 028	51 791	-	-	-	36 937	-	171 174
სალოზინგო ვალდებულება არაფინანსური ინსტიტუტის მიმართ	3 710 079	10 010	150 000	-	-	492 244	976	4 043 289
სულ:	18 499 331	275 805	150 000	-	77 922	529 181	3 687 694	22 368 324

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2019-მდე	გადახდა	დადებითი საკურსო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2020-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	2 401	827 147	-	990 061	-	165 314
სულ:	2 401	827 147	-	990 061	-	165 314

3.21. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს გაგებული როგორც დაუყოვნებლივ რეალიზებადი, აქტივების ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასების გზით. შეფასების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

3.22. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აზრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორიცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროს და აშშ დოლარისა მიმართ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

31 დეკემბერი, 2021 წ.

	EUR	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	-
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	-	102 019	102 019
სხვა მიმდინარე აქტივები	296 781	8 159 346	8 456 127
აქტივები სულ:	296 781	8 261 365	8 558 146
სავაჭრო ვალდებულებები	16 303	-	16 303
მოკლევადიანი სესხები	1 504 305	-	1 504 305
სხვა მიმდინარე ფინანსური ვალდებულებები	19 617	569 846	589 463
გრძელვადიანი სესხები	12 012 766	-	12 012 766
სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	60 669	-	60 669
ვალდებულებები სულ:	13 613 661	569 846	14 183 507
ნეტო შედეგი	(13 316 880)	7 691 520	(5 625 361)
Euro (10% ცვლილება)	(1 331 688)		
USD (10% ცვლილება)	769 152		

31 დეკემბერი, 2020 წ.

	EUR	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2 183		2 183
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	619 842	9 700 278	10 320 121
აქტივები სულ:	622 026	9 700 278	10 322 304
სავაჭრო ვალდებულებები	4 224	-	4 224
მოკლევადიანი სესხები	1 709 128	-	1 709 128
სხვა მიმდინარე ფინანსური ვალდებულებები	19 358	-	19 358
გრძელვადიანი სესხები	16 610 048	-	16 610 048
სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	92 185	-	92 185
ვალდებულებები სულ:	18 434 943	-	18 434 943
ნეტო შედეგი	(17 812 917)	9 700 278	(8 112 639)
Euro (10% ცვლილება)	(1 781 292)		
USD (10% ცვლილება)	970 028		

3.23. გარიგებები და კავშირებულ მხარეებთან

განხორციელებული ტრანზაქციები დირექტორთან და პარტნიორთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	ტრანზაქციის ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	-	21 356	-	5 235
ხელფასები და სხვა სარგებელი	400 000	-	150 000	-

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	ტრანზაქციის ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
სავაჭრო მოთხოვნები	-	4 050	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	-	8 680 407	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	-	96 747
სხვა მიმდინარე ფინანსური ვალდებულებები	-	197 205	-	-
სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	-	3 298 143	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4 050	-	-	-
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტი	-	-	-	10 320 121
საპროცენტო შემოსავალი	-	-	786 213	-
საპროცენტო ხარჯი	368 622	-	-	-

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

3.24. გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმი - ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც თვისებრივად განსხვავდება მანამდე მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმისაგან. ამასთან, დაბეგვრის ეს რეჟიმი არის იშვიათი, კერძოდ, საქართველო გახდა მეორე ქვეყანა ევროპაში (ესტონეთის შემდეგ), რომელმაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ეს მოდელი აირჩია. მოდელის თავისებურები, თვისობრივი სიახლე და საგადასახადო პრაქტიკის სიმცირე ქმნის გარკვეულ განუზღვრელობას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხში. მართალია, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ.

სასამართლო დავები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას საერთო სასამართლოებში ჰქონდა 17 (ჩვიდმეტი) მიმდინარე სასამართლო დავა. დავების ნაწილი არის შრომითი ხასიათის, ყოფილ (გათავისუფლებულ) თანამშრომლებთან, ხოლო ნაწილი არის საქონლის/მომსახურების მიმწოდებლებთან, სხვადასხვა სადავო გარემოებების გამო.

ახალი კორონავირუსის Covid-19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

2020 წლის დასაწყისში გავრცელებულმა კორონავირუსმა სწრაფად მოიცვა მთელი მსოფლიო, საქართველოს ჩათვლით და უდიდესი სოციალური თუ ეკონომიკური ზიანი მიაყენა ქვეყნებს. 2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში, ოფიციალურად, 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების ნაწილის სახით, საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა დროს დააწესა სხვადასხვა სახის შეზღუდვები. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელების შესაძლო შედეგები კომპანიისთვის არ იქნება მნიშვნელოვანი ხასიათის.

სს „გერმანული ჰოსპიტალი“, ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შესაბამისად 2020 წლის ნოემბრიდან აქტიურად ჩაერთო COVID 19 პანდემიასთან ბრძოლაში და გადაკეთდა ჰიბრიდულ კლინიკად. 2020 წლის ნოემბრიდან მიმდინარე პერიოდამდე კლინიკას არ შეუწყვეტია კოვიდ პაციენტების მიღება, შესაბამისად კომპანიამ მოახერხა

ფუნქციონირება ზრდის მაჩვენებლით. ფინანსურ შედეგებზე COVID 19-ს უარყოფითი ზეგავლენა არ მოუხდენია.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პანდემიის დროს და მის შემდეგ კლინიკის ფუნქცია, როლი და მოთხოვნა სამედიცინო სერვისებზე გაცილებით მაღალია, ვიდრე ნორმალურ პირობებში, შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში ფუნქციონირების შეჩერებასთან დაკავშირებული რისკები არ არსებობს.

3.26. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

- 2022 წელს კომპანიამ განაახლა ურთიერთობა საერთაშორისო ბაზარზე, კერძოდ გერმანიის წამყვან ლაბორატორიებთან სამედიცინო კვლევების მომსახურების წარმართვის მიზნით. მათ შორის გენეტიკური კვლევების ლაბორატორიასთან;

- 2022 წელს კომპანიამ განაახლა მოლაპარაკებები უცხოური სპეციალისტების მოწვევის და კადრების კვალიფიკაციის გადამზადების კუთხით.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წლის 30 სექტემბრამდე, არ მომხდარა რაიმე სხვა სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.27. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2022 წლის 30 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებას 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.


ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2022 წლის 30 სექტემბერს:

დირექტორი

ფინ. დირექტორი



გოჩა ცინცაძე

ვერიკო გუდავა


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1 623 925	60 214	3.1.
სავაჭრო მოთხოვნები	4 723 652	3 612 678	3.2.
მარაგები	111 710	80 784	
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	137 876	88 447	
სხვა მიმდინარე აქტივები	8 781 309	10 353 211	3.3.
მოკლევადიანი აქტივები სულ:	15 378 471	14 195 334	
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	5 853 989	5 110 898	3.4.
გრძელვადიანი აქტივები სულ:	5 853 989	5 110 898	
აქტივები სულ:	21 232 460	19 306 232	
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	1 537 512	1 901 157	3.5.
საგადასახადო ვალდებულებები	253 313	298 448	3.6.
მოკლევადიანი სესხები	1 504 305	1 709 128	3.7.
სხვა მიმდინარე ფინანსური ვალდებულებები	829 661	535 746	3.8.
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	1 315 090	958 198	3.9.
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	5 439 881	5 402 678	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	12 012 766	16 610 048	3.10.
სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3 444 041	3 678 716	3.11.
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	15 456 807	20 288 764	
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	1 000	-	3.12.
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	334 772	(6 385 210)	
კაპიტალი სულ:	335 772	(6 385 210)	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	21 232 460	19 306 232	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



გოჩა ცინცაძე

ფინ. დირექტორი



ვერიკო გუდავა

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2021 წელი	2020 წელი	შენიშვნა
ამონაგები	22 291 104	11 419 767	3.13.
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	(11 912 234)	(7 766 292)	3.14.
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	10 378 870	3 653 474	
მიწოდების ხარჯი	(12 035)	(35 394)	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1 621 040)	(1 094 528)	3.15.
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1 170 450)	(778 105)	3.16.
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	7 575 345	1 745 447	
ფინანსური შემოსავალი	-	786 213	
ფინანსური ხარჯი	(2 000 267)	(1 408 675)	3.17.
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	1 680 797	(2 503 631)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	598 359	281 059	3.18.
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(422 434)	(534 220)	3.19.
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	7 431 799	(1 633 807)	
მოგების გადასახადი	(7 582)	-	
წლის წმინდა მოგება	7 424 217	(1 633 807)	
წლის სრული შემოსავალი	7 424 217	(1 633 807)	



ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

[Handwritten signature]

გოჩა ცინცაძე

ფინ. დირექტორი

[Handwritten signature]

ვერიკო გუდავა

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2019-სთვის	-	(4 751 403)	(4 751 403)
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	(1 633 807)	(1 633 807)
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(6 385 210)	(6 385 210)
ნაშთი 31.12.2020-სთვის	-	(6 385 210)	(6 385 210)
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	7 424 217	7 424 217
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1 039 007	1 039 007
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში	1 000	-	1 000
განაწილებული დივიდენდი	-	(704 234)	(704 234)
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	1 000	(704 234)	(703 234)
ნაშთი 31.12.2021-სთვის	1 000	334 772	335 772



ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

[Handwritten signature]

გოჩა ცინცაძე

ფინ. დირექტორი

[Handwritten signature]

ვერიკო გუდავა

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2021 წელი	2020 წელი შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	20 703 515	10 003 647
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(6 961 253)	(3 614 263)
გაცემული შრომის ანაზღაურება საპენსიოს ჩათვლით	(5 541 660)	(4 352 441)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხები	(3 516)	(18 100)
გადახდილი გადასახადები	(1 503 149)	(772 874)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(42 816)	(16 385)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	6 651 122	1 229 585
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(275 519)	(213 362)
სხვა შემოსულობანი /განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	(28 100)	(45 230)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(303 619)	(258 592)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების აღება	314 357	77 922
სესხების დაფარვა	(2 891 638)	(214 004)
გადახდილი პროცენტები	(1 014 917)	(827 147)
ლიზინგის ვალდებულების დაფარვა	(599 378)	(61 801)
გადახდილი დივიდენდები	(571 971)	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(4 763 547)	(1 025 030)
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(20 245)	(4 107)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	1 563 711	(58 144)
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	60 214	118 358
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	1 623 925	60 214



ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

გოჩა ცინცაძე

ფინ. დირექტორი

ვერიკო გუდავა

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „გერმანული ჰოსპიტალი“-ს 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება

(საქმიანობის მიმოხილვა)

კომპანია სს „გერმანული ჰოსპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 402101321) დაარსდა 2018 წლის 28 სექტემბერს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსით;

კომპანიის ერთპიროვნულ დამფუძნებელს დაარსების დღიდან წარმოადგენს: ფიზიკური პირი მარინა ჟვანია (48001009162).

კომპანიის გენერალური დირექტორი დაარსების დღიდან 2019 წლის 04 ნოემბრამდე იყო ნიკოლოზ მენთეშაშვილი; 2019 წლის 04 ნოემბრიდან 2021 წლის 06 აპრილამდე ეკატერინე ლორია (01024044863), ხოლო 2021 წლის 06 აპრილიდან გახდა გოჩა ცინცაძე;

კომპანიას არ ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო. იგი იმართება გენერალური დირექტორის მიერ, რომელიც არის კომპანიის ერთპიროვნული მმართველი. კომპანიას მართვაში მონაწილეობს აგრეთვე აღმასრულებელი დირექტორი.

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები და ფილიალები.

სს „გერმანული ჰოსპიტალი“ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2019 წლის 29 იანვრიდან.

კომპანიის მიზანია მოგების მიღება გამჭვირვალე, სამართლიანი და ბიზნეს-ეთიკაზე დაფუძნებული საქმიანობის წარმართვის შედეგად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა და სხვა საავადმყოფოს საქმიანობის განხორციელება.

კომპანიის სავაჭრო ნიშნებია: „German Hospital“, „გერმანული ჰოსპიტალი“.

- სს „გერმანული ჰოსპიტალი“ - მრავალპროფილური კლინიკა, სადაც მომსახურებას უწევენ უმაღლესი რანგის სპეციალისტები. ჰოსპიტალი აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური ცენტრითა და თანამედროვე სტანდარტების აპარატებით. გერმანული ჰოსპიტალი არის ადგილი სამედიცინო სფეროში, სადაც შესაძლებელია გერმანული ხარისხის მომსახურების მიღება, საჭიროების შემთხვევაში მოხდება ანალიზების გაგზავნა გერმანიაში, ასევე ტომოგრაფიისა და რენტგენის სურათების გაშიფვრა გერმანელი პროფესორების მიერ.
- ჰოსპიტალი განთავსებულია თბილისის ცენტრალურ ნაწილში, მარცხენა სანაპიროზე, რაც მაქსიმალურად აადვილებს გადაუდებელი შემთხვევების დროს კლინიკამდე მისვლას. ჰოსპიტალი 8 სართულიანია, გათვლილია სტანდარტულად 120 საწოლზე.

ქირურგია, ტრავმატოლოგია, ნევროლოგია, კარდიოლოგია-ინტერვენცია, ონკო-ჰემატოლოგია, ონკოლოგია, თერაპია, რეანიმაცია, ამბულატორია, დიაგნოსტიკა;


- სს „გერმანული ჰოსპიტალი“ მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანიაა, კლინიკა სთავაზობს პაციენტებს განსხვავებულ, თანამედროვე კონცეფციას: კვალიფიციური გერმანული ხარისხის სამედიცინო დახმარება საუკეთესო მომსახურებასთან ერთად.
- სს „გერმანული ჰოსპიტალი“-ს მიზანია შეამციროს იმ პაციენტების ნაკადი, რომლებიც მიდიან სამკურნალოდ საზღვარგარეთ და გაუწიოს მათ ანალოგიური ხარისხის სამედიცინო მომსახურება თბილისში ქართველ და გერმანელ ექიმებთან ერთად. კლინიკას დაგეგმილი აქვს გახდეს ამიერკავკასიაში საუკეთესო რეგიონალური ჰოსპიტალი და მოემსახუროს აზერბაიჯანის და სომხეთის მოქალაქეებსაც.
- კომპანიის განვითარების მხრივ სისტემატური ზრუნვის საგანია თანამედროვე სერვისების დანერგვა და განვითარება, ინოვაციური ნაბიჯების გადადგმა.
- დასაქმებულთა წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით პერიოდულ რეჟიმში ხორციელდება მატერიალური წახალისება (ბონუსები, პრემიები).
- კომპანიის მთლიანი ინფრასტრუქტურა აღჭურვილია დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, პერმანენტულად ახლდება შესაბამისი ინვენტარი და ტექნოლოგიები. კომპანიას ჰყავს 24 საათიანი დაცვა, რომელიც აკონტროლებს შიდა და გარე პერიმეტრს სამეთვალყურეო კამერების მეშვეობით.
- „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს.
- კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, საბუღალტრო პროგრამების „ინფო ბღალტერია“-ს და საბუღალტრო სამედიცინო პროგრამა „მედსერვისი“-ს გამოყენებით.
- 2021 წლის ბოლოსათვის, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 1000 ლარს გადასცდა.
- კომპანიის ამონაგებმა 2020 წელს 11 419 767 ლარი, ხოლო 2021 წელს - 22 291 104 ლარი შეადგინა; რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამონაგების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 95%-ით.
- კომპანიის აღებული ჰქონდა გრძელვადიანი სესხი ევროში „საქართველოს ბანკი“-დან (დაფარვის ვადა - 2029 წლის 15 ნოემბერი).
- ბიუჯეტში გადასახადების სახით კომპანიას 2020 წელს გადახდილი აქვს 772 874 ლარი, ხოლო 2021 წელს 1 503 149 ლარი (ზრდა 94%).

- რისკების მხრივ, მნიშვნელოვანი საკითხია სავალუტო კურსის სტაბილურობა, რადგანაც დევალვაციის შედეგად საკურსო სხვაობიდან წარმოიშვება დამატებითი ფინანსური ხარჯები, ასევე არასახარბიელო გავლენას ახდენს ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე და შედეგად პროდუქციის რეალიზაციაზე.

სამომავლო გეგმების დასახვა და განვითარება მენეჯმენტის მუდმივი ზრუნვის საგანია. კომპანია გეგმავს განაახლოს ურთიერთობა საერთაშორისო ბაზარზე, კერძოდ გერმანიის წამყვან ლაბორატორიებთან სამედიცინო კვლევების მომსახურეობის წარმართვის მიზნით; მათ შორის გენეტიკური კვლევების ლაბორატორიასთან. კლინიკა ასევე გეგმავს მოლაპარაკებებს გერმანიის წამყვან კლინიკებთან უცხოური სპეციალისტების მოწვევის და კადრების კვალიფიკაციის გადამზადების კუთხით; ყოველივე ეს დაიგეგმა 2020 ში თუმცა კოვიდ-19 პანდემიამ შეაფერხა ამ კუთხით განვითარების საკითხი, ამჟამად კი განაგრძობს განვითარებას ამ მიმართულებით.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია სს „გერმანული ჰოსპიტალი“-ს გენერალური დირექტორისა და ფინანსური დირექტორის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი

----- 

გოჩა ცინცაძე

ფინანსური დირექტორი

----- 

ვერიკო გულდავა





შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საიდენტიფიკაციო N 211344188. www.tsodnisa.ge ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge
თბილისი 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 41, IV სართული. ტელ.: 239-33-50, 239-33-69

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

სს „გერმანული ჰოსპიტალის“ პარტნიორსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „გერმანული ჰოსპიტალის“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 402101328) (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარება ჩვენმა აუდიტორმა კომპანიამ დაიწყო 2022 წლის აპრილიდან, რის გამოც ჩვენ ვერ მოვახერხეთ საანგარიშგებო პერიოდის (2021 წლის) დასაწყისში და ბოლოს მარაგების ინვენტარიზაციაზე დაკვირვებით ან სხვა ალტერნატიული გზებით, მარაგების რაოდენობებისა და სახეობრივი შემადგენლობის დადასტურება, რომლებიც კომპანიას აქვს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს (2021 წლის დასაწყისში - 80 784 ლარი, 2021 წლის ბოლოს - 111 710 ლარი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ

ანგარიშგებაში აღრიცხულ მარაგთან, ასევე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგების თვითღირებულებასთან დაკავშირებით, რომელმაც პერიოდების მიხედვით შეადგინა: 2021 წელი - 4 430 938 ლარი და 2020 წელი - 2 389 503 ლარი. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ კომპანია სპეციალიზებულ კომპიუტერულ პროგრამაში აღრიცხული მარაგების ჩამოწერა არ ხორციელდება მსს ფასს-ის შესაბამისად.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

სს „გერმანულ ჰოსპიტალს“ შპს „ცინცაძე და კომპანიასგან“ 2019 წლის 30 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, შემდგომი შესყიდვის უფლებით 15 (თხუთმეტი) წლის ვადით მფლობელობასა და სარგებლობაში აქვს მიღებული 1300 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე არსებული 4600.9 კვ.მ. შენობა-ნაგებობით. გარიგება წარმოადგენს ფაქტობრივ ფინანსურ იჯარას (ლიზინგს) და ფინანსურ ანგარიშგებაშიც ასახულია შესაბამისად, თუმცა კომპანიას და მეიჯარეს ლიზინგის უფლების წარმოშობის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში არ განუხორციელებია. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

- „1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...
2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:
 - ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.
5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედრილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

კომპანია წარმოადგენს ზემოაღნიშნულ კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი ახელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოადგენს მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობის შესახებ

კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრილია იმავე საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

